



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №29

აბაშა, 2019 წლის 1 აპრილი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის II
კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“
61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (გ. ხოშტარია), საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებსა და აპარატის უფროსს (გ. ხურცილავა).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

მ. კვიციანი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის

II კვარტლის სამუშაო ბეგმა

№	ბანსახილველი საკითხის დასახელება	ბანხილვის დრო	სხდომაზე გამომტანი პასუხისმგებელი პირი (კომისია, ვრამცია)
1.	აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2019 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.	აპრილი	გ. კუპრავა
2.	აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის სოციალური დახმარების გაცემის მუდმივმოქმედი კომისიის ანგარიში 2019 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.	მაისი	კ. კუჭუხიძე
3.	აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ანგარიში 2019 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.	აპრილი	გ. კუცია
4.	აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში 2019 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.	ივნისი	ტ. ხოშტარია
5.	აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2019 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.	ივნისი	ტ. ხოშტარია

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

მ. კვიციანი